საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

დოქტორანტი თამარ ხოშტარია

II თემატური სემინარი

ხის მასალის გამოყენება საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაში (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

არქიტექტურის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნინო ჩაჩავა

თბილისი, 2017

შესავალი

სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობის დიდ ნაწილს ესაჭიროება გადაუდებელი სარეაბილიტაციო ღონისძიებები. ამ კვლევაში განვიხილავთ ხის არქიტექტურის საკითხებს. ხის არქიტექტურას ესაჭიროება განსაკუთრებული სიფრთხილით მოვლა. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს განაშენიანების ისტორიული იერსახის თავისებურებებს, განუმეორებელ მომხიბვლელობას და მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის - ტურიზმის განვითარებისათვის.

ხის არქიტექტურას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგალითად, დედაქალაქის ისტორიულ უბნებსა და დასავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ხის დეკორატიული აივნები. საქართველოს სამხრეთ რეგიონებში გვხვდება შუა საუკუნეების ნაგებობები ჭერის სრულიად თავისებური დიზაინით.

გამომდინარე ისტორიული პირობებიდან, მე-19 საუკუნიდან სამცხეში, მესხეთ-ჯავახეთსა და თორში, ანუ დღევანდელ სამცხე-ჯავახეთში ყალიბდება ხის არქიტექტურის ორიგინალური მიმართულება, რომელიც რუსული და გერმანული სამშნებელო ტრადიციების ქართული არქიტექტურის ნიადაგზე დაფუძნების, მასთან შერწყმისა და მისი ელემენტების გამოყენების საშუალებით წარმოიშვა. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო მასალად უმეტესწილად ადგილობრივი რესურსები გამოიყენებოდა, რამაც ინდუსტრიული დარგების განვითარებასაც შეუწყო ხელი. ამგვარი მიდგომის შედეგად სრულიად უნიკალური არქიტექტურული ნიმუშები შეიქმნა, რომელთა უმეტესობა ბორჯომის მუნიციპალიტეტსა და კურორტ აბასთუმანში გვხდება. ნაწილობრივ გამოყენებულია შერეული მასალები: ქვა, აგური, ხე; ზოგიერთი შენობა მთლიანად ხისაა. ხე, როგორც შესანიშნავი მასალა, გვხვდება ქვის შენობებშიც, სახურავის კონსტრუქციებისა და გადახურვის კონტურებზე არშიებად დაყოლებული დეკორატიული ელემენტების, სვეტების, მაქმანისებური ფრონტონებისა და ლოჯიების სახით. ბევრი შენობა ფახვერკის ტექნიკითაა აგებული - ხის მზიდი საყრდენები და კავშირები, რომელთა შორის კედელი ქვით ან აგურითაა ამოვსებული.

ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის ხის ნიმუშები დამახასიათებელია სამცხე-ჯავახეთის კურორტებისათვის. შენობები აგებულია საღი, მკვრივი, ძირითადად წიწვოვანი ხის მასალით. ხის მასალის ასეთი ჯანსაღი მდგომარეობა აიხსნება მისი დამუშავების ტექნოლოგიის ყველა საჭირო ფაზის დაცვის კარგი ტრადიციით: ხანდზამული ხის შერჩევის, მოჭრის სწორი პერიოდის, ბუნებრივი დამცავი მასალების, საღებავებისა და სოკოვანი დაზიანებების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით.

ქალაქ ბორჯომის არქიტექტურული მემკვიდრეობის ნუსხა მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია. აბასთუმანში 122-მდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გვაქვს, რომელთა უმეტესობაც ხის დეტალებით არის გამშვენებული. მე-19 საუკ. და მე-20 საუკ. დასაწყისის ხის მორის სახლები გვხვდება კურორტ წაღვერსა და ბაკურიანში.

ხის უნიკალური არქიტექტურული ნიმუშების დაცვა და მოფრთხილება რეგიონისა და ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი სერიოზულ ფასეულობას და მიმზიდველ ობიექტებს წარმოადგენენ ტურიზმის მზარდი განვითარების ფონზე. ჩვენს კვლევაში განვიხილავთ კონსტრუქციისა და არქიტექტურული ტრადიციის თავისებურებებს სხვადასხვა შემთხვევებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ხის კონსტრუქციები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი

შესავალი

სამცხე-ჯავახეთი სამხრეთი საქართველოს ერთ-ერთი ფართო და ძალიან სპეციფიური რეგიონია. მას „სამხრეთის კარიბჭესაც“ უწოდებენ, გამომდინარე გეოპოლიტიკური პირობების, სავაჭრო გზებისა და კულტურული თავისებურებებიდან. სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, მისი ადმინისტრაციული ცენტრი ახალციხით წარმოადგენს საკომუნიკაციო ჰაბს და ესაზღვრება როგორც თურქეთს, ისე სომხეთს. იგი 6 მუნიციპალიტეტისაგან შედგება: ადიგენი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, ბორჯომი და ნინოწმინდა. ადიგენი, ახალციხე და ასპინძა ისტორიულ სამცხეს ეკუთვნის; ახალქალაქი და ნინოწმინდა ჯავახეთს; ხოლო ბორჯომის მუნიციპალიტეტი ისტორიული თორის მემკვიდრეა. „სამცხე-ჯავახეთი საქართველოს უძველეს ისტორიულ ტერიტორიას წარმოადგენს და

განიხილება, როგორც ქართული კულტურის აკვანი“ (“Samtskhe-Javakheti is the oldest historic territory of Georgia and is considered as the cradle of Georgian culture.”). [1]

1.1 ზოგადი დახასიათება

სამცხე-ჯავახეთი მრავალი ტურისტული ღირსშესანიშნაობით ხასიათდება. აქ არის რამდენიმე დაცული ტერიტორია: ბორჯომის ნაკრძალი და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ქცია-ტაბაწყურისა და თეთრობის აღკვეთილი, ჯავახეთის დაცული ტერიტორიები: ჯავახეთის ეროვნული პარკი, სულდა, კარწახი, ხანჩალის, ბუდღაშენისა და მადატაფის აღკვეთილი. ამ რეგიონს კვეთს საქართველოს უმნიშვნელოვანესი ტურისტული მარშრუტები. ადრეული შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე აღაფრთოვანებს მის სტუმრებს: კლდეში ნაკვეთი ვარძიის კომპლექსი, ვანის ქვაბები, ტერასები; ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, სამონასტრო კომპლექსები: საფარა, ზარზმა, ტიმოთესუბანი, ჭულე და სხვა; ხერთვისის, თმოგვის, აწყურის ციხეები; გუჯარეთის ხეობის ძეგლები; არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები; ღვინის, თაფლისა და ხორბლის უძველესი ნაშთები; კულტურული მემკვიდრეობის სხვა მრავალი ძეგლი ამ ტერიტორიის უძველესი და მდიდარი ისტორიის შესახებ მეტყველებს. აქ მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მთაწმინდელი, შალვა ახალციხელ-თორელი; შოთა რუსთაველის წარმოშობაც ამ მხარეს უკავშირდება. ეს თამარ მეფისათვის საქართველოს უმნიშვნელოვანესი მხარეა, რადგანაც ვარძიის აგებას სწორედ აქ გადაწყვეტს; ხოლო ოცხე - დღევანდელი აბასთუმანი - მეფე თამარის საყვარელ მოსასვენებელ ადგილად მოიხსენიება.

ისტორიული ძეგლები მრავალგვარია, დაწყებული ხის ჭერის მქონე შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის საცხოვრებლებიდან (სარო, ჭაჭრაქი. ხიზაბავრა და სხვ. - ასპინძის მუნიციპალიტეტი), კურორტების - ბორჯომისა და აბასთუმნის მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქალაქო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ჩათვლით, რომლებიც ხის კონსტრუქციებითა და დეკორატიული დეტალებით არის დატვირთული. ხშირად გამოიყენება შერეული სამშენებლო ტექნიკა; საშენი მასალები, ძირითადად ხე და ქვა, უმეტესწილად ადგილობრივი წარმოშობისაა. სამცხე-ჯავახეთი ხის საშენი მასალით მე-19

საუკუნის თბილისსაც ამარაგებდა, ეს მასალა გამოიყენებოდა ხშირად ძველი თბილისის ხის არქიტექტურაშიც.

ტურიზმი ერთ-ერთი წამყვანი დარგია სამცხე-ჯავახეთში, ისე, როგორც თითქმის მთელ საქართველოში. კურორტების. საკურორტო ადგილებისა და ტურისტულ-სარეკრეაციო ადგილების ერთობლიობა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი. იგი მოიცავს კარგად ცნობილ კურორტებს, როგორიცაა ბორჯომი და აბასთუმანი, და ასევე ნაკლებად ცნობილ დასახლებებს, რომელიც ახლო მომავალში შესაძლოა, გახდეს ტურისტული მიზიდულობის ადგილი. ამ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ულამაზეს კულტურულ მემკვიდრეობას, განისაზღვროს მისი მოვლა-შენარჩუნების, დაცვის, რეაბილიტაციისა და რესტავრაციის პროგრამები. მდგრადი შედეგების მისაღწევად გრძლევადიანი მიდგომაა აუცილებელი.

1.2 მიზანი / ამოცანები

ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შუა საუკუნეებისა და მოგვიანებით, მე-19 საუკუნის საცხოვრებლების ანალიზი, მათში ხის მასალების გამოყენების კუთხით. აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობა გამოირჩევა ხის კონსტრუქციებისა და დეკორატიული ჩუქურთმების განსაკუთრებული ხიბლით, სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობის მრავალ ძეგლთა შორის.

1.3 მეთოდიკა

ნაშრომში გამოყენებულია გრაფიკული, ტექნიკური და ეკონომიკური მონაცემები, არსებული ისტორიული მემკვიდრეობის მონაცემებზე დაყრდნობით; არქიტექტურული და არქეოლოგიური ნახაზები; 3D-სკანირების მეთოდი, CAD-ტექნოლოგია. განხილულია არქიტექტურულ-საინჟინრო კომპანია „ინჟინრული აზრის“ პროექტები.

2 ძირითადი საკითხები

2.1 ხის კონსტრუქციების შუა საუკუნეების მაგალითები

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მულტიკულტურული განვითარების გათვალისწინებით, სამცხე-ჯავახეთის არქიტექტურულ ძეგლების ვიზუალური ანალიზის დროს სხვადასხვა კულტურების გავლენა იგრძნობა.

ამგვარად, ხის დეტალების მქონე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები შეიძლება დაჯგუფდეს: უძველესი პერიოდის მიწისქვეშა ნაგებობები, რომელთა გადახურვა დაფარულია მწვანე საფარით, ბალახით, ე.წ „დარანი“. ამ ტიპის საცხოვრებლები შუა საუკუნეების ომების დროს მოსახლეობისათვის თავშესაფრის როლს ასრულებდა. ამგვარი საცხოვრებლები გვხვდება სოფელ ხიზაბავრაში, ასპინძის მუნიციპალიტეტში. მსგავსი სანახევროდ მიწის ქვეშ არსებული ნაგებობები მდებარეობს ისტორიულ სოფელ ჭაჭკარში, ვარძიის მახლობლად. შუა საუკუნეების დარბაზის ტიპის საცხოვრებლები ხის ორიგინალური ჭერით საკმაოდ ცნობილია და შესწავლილია არაერთი მკვლევარის მიერ. მე-19 და მე-20 საუკ. დასაწყისის კლასიკური სახლები, რომლებიც აგებულია ევროპული და რუსული სამშენებლო ტრადიციების გავლენით, რომლებიც ორიგინალურად შეერწყა ადგილობრივი, ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, სამცხე-ჯავახეთში უმეტესწილად ბორჯომსა და აბასთუმანში გვხვდება.

წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი იქნება ჩვენს მიერ განხილული საცხოვრებლების ტიპების ანალიზი.

მსოფლიო ბანკის ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-თიანეთში, რამდენიმე სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს. შუა საუკუნეების სოფელი ჭაჭკარის ისტორიული, არქეოლოგიური და არქიტექტურული კვლევების შედეგად, დაიგეგმა აღდგენითი ღონისძიებები. ჭაჭკარი მდებარეობს ასპინძის რაიონში, ვარძიის სამონასტრო კომპლექსიის დასავლეთით და ამ კომპლექსის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. განაშენიანება ვითარდება რთულ რელიეფზე მდებარე ქუჩის გასწვრივ. განაშენიანება, ძირითადად, ინარჩუნებს შუა საუკუნეების პერიოდის იერსახეს, თუმცა არის ახალი უსახო და გადაკეთებული სახეცვლილი ძველი ნაგებობებიც“. შუა საუკუნეების სოფლის, ჭაჭკარის ისტორიულ-არქეოლოგიური და არქიტექტურულ კვლევაზე დაყრდნობით, დაიგეგმა სპეციალური ღონისძიებები; „პროექტის რეაბილიტაციის არქიტექტურული ნაწილი დამუშავდა ჩვენს ხელთ არსებული ფოტოების, ტოპოგეოდეზიური, სახელოვნებათმცოდნეო, კონსტრუქციული კვლევების და არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების მონაცემების საფუძველზე. პროექტი დამუშავდა მხატვრულ-არქიტექტურული და

საინჟინრო კონსტრუქციული კრიტერიუმების ერთიანი გააზრებით. პროექტირებისას განსაზღვრული იქნა:

- ნაგებობათა ავთენტურობის მაქსიმალური შენარჩუნება.

- ტრადიციული კონსტრუქციული გადაწყვეტების გამოყენება.

- ტრადიციული მასალების მაქსიმალური გამოყენება.“ – (ჭაჭკარის რეაბილიტაცია, განმარტებითი ბარათი). შუა საუკუნეებში ჭაჭკარში ყურძენი იწურებოდა და ღვინო მზადდებოდა, რომელიც მიეწოდებოდა იქვე ახლოს განლაგებულ ვარძიის საწყობებს [2].

ჭაჭკარის განაშენიანება რთულ, ციცაბო ფერდობზეა განლაგებული. ქუჩისა და მის გასწვრივ მდებარე ნაგებობების დაზიანების მთავარ მიზეზს წარმოადგენს ნაგებობების ხანდაზმულობა და ხანგრძლივი წვიმების დროს მთის ფერდობებიდან ჩამომავალი ნიაღვარი და ქვა-ღორღი.

გამოქვაბულები ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შემორჩენილი.

მათ ინტერიერებში შეიმჩნევა ჰორიზონტალური ბზარები, (მნიშვნელოვნად არის დაზიანებული გამოქვაბულის წინ არსებული ისტორიული მინაშენები) ზოგიერთ სახლს შერჩენილი აქვს მხოლოდ ქვის კედლის წყობის ფრაგმენტები, ზოგიერთს დაკარგული აქვთ ჰორიზონტალური გადახურვა, ზოგზე სადაც შერჩენილია ბანიანი გადახურვა ნაწილობრივ შეცვლილია ხის სახურავის კონსტრუქცია ახალი ხის მასალით. ზოგიერთ საცხოვრებელ სახლზე სახურავის კონსტრუქცია და გადახურვის საფარი შეცვლილია ახალი ქანობიანი კონსტრუქციით და დაფარულია შავი ლითონის ფურცლებით.

გადახურვის კოსტრუქცია მორითა და ფიცრით არის მოწყობილი და დაფარულია ნიადაგითა და მწვანე საფარით. ხის გადახურვები და ჭერები აგრეთვე დაზიანებულია, სიძველისა და ნესტის გამო, და სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს.

ჭაჭკარის ისტორიული საცხოვრებლებისა და ღვინის წარმოებისთის დამახასიეთებელი მოწყობილობების არქეოლოგიური კვლევის შემდეგ, სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში გამოყენებული იყო 3D სკანირების ტექნოლოგია, რაც განახორციელა არქიტექტურულ-საინჟინრო კომპანია

„ინჟინრულმა იდეამ.“ აქ წარმოვადგენთ წინასაპროექტო კვლევისა და რეაბილიტაციის პროექტის ზოგიერთ შედეგს.

ნახ. 1. ფოტო. შუა საუკუნეების სოფელი ჭაჭკარი, ხედი [3]

მთავარი პრინციპია მაქსიმალური ბუნებრიობის (ავთენტურობის) შენარჩუნება, ტრადიციული სამშენებლო კონსტრუქციების მეთოდებისა და ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენება. რეაბილიტაციის პროექტი მოიცავს საძირკვლების, კედლებისა და გადახურვის კონსტრუქციების გამაგრებას; ჰიდროიზოლაციასა და ნესტის საწინააღმდეგო ღონისძიებებს; ჭერის მზიდი კონსტრუქციის - მთლიანი მორისა და ფიცრების აღდგენას და ყველა სხვა აუცილებელ ღონისძიებას უნიკალური შუასაუკუნეობრივი სოფლის აღდგენისა და დაცვის თვალსაზრისით.

ნახ. 2: ჭაჭკარის ნაგებობების ფოტოები. მორისა და ფიცრის შუა საუკუნეების კონსტრუქციები.





ნახ. 3: შუა საუკუნეების სოფელი ჭაჭკარის რეაბილიტაციის პროექტი, ხის ჭერის მაგალითი

მოცემული საცხოვრებლები ნაწილობრივ მიწის ქვეშ მდებარეობს, ხოლო გადახურვა დაფარულია მწვანე საფარით. ჭერის ხის კონსტრუქციები დღემდე შემონახულია. ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვას უზრუნველყოფს ჰიდროსაიზოლაციო და კონსტრუქციის აღდგენა-გამაგრების ღონისძიებების დაგეგმარება და განხორციელება.



ნახ. 4: ჭაჭკარი. შენობის სექციები, არსებული და დაგეგმილი მდგომარეობა

სამცხე-ჯავახეთის მხარე აგრეთვე მესხეთად იწოდებოდა. შუა საუკუნეების საცხვრებლის შემდეგ ტიპს, სადაც ხის მასალა და ორიგინალური სამშენებლო ტექნიკაა გამოყენებული, მესხური დარბაზი წარმოადგენს. დარბაზის ტიპის საცხოვრებელები უმეტესად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში გვხვდება. სამცხე-ჯავახეთის მხარეში ცნობილია ისტორიულ მთიან სოფელ საროში, ასპინძის

მუნიციპალიტეტში არსებული დარბაზები. ზოგადად ასპინძის მიდამოები მეტად მდიდარია შემონახული შუა საუკუნეობრივი კულტურული მემკვიდრეობით, ამ მხარისათვის მსგავსი საცხოვრებლები დამახასიათებელია. დარბაზი წარმოადგენს სრულიად თავისებური დიზაინის, ულამაზეს ჭერს, რომელსაც აქვს გვირგვინისებური ფორმა, შუაში სარკმლით. ზოგიერთი დარბაზი ზომით 400 კვმ-ს უახლოვდება. აქვს მოჩუქურთმებული დეკორატიული დეტალები ინტერიერში. მესხური დარბაზი განსხვავდება ქართლური დარბაზის ტიპის საცხოვრებლებისაგან უკეთესი განათებითა, აგრეთვე ხაზგასმულია დარბაზის შუაში განთავსებული კერის ადგილი. მესხურ დარბაზებში ჭერის კონსტრუქციისათვის ძირითადად წიწვოვანი ჯიშის ხეებია გამოყენებული. სოფელ საროს დარბაზების რეაბილიტაცია დაწყებულია, მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით. აღსანიშნავია ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის პროექტი (გეოგრაფიკი), რომელიც ათი სოფლის სივრცითი მოწყობის დოკუმენტებს მოიცავს. რასაც შემდეგ კონრეტული ობიექტების რეაბილიტაციის პროექტები მოჰყვა.

დარბაზები საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს, მათი ორიგინალური კონსტრუქციის გამო. დარბაზის ტიპის შენობის სამი მხარე მიწის ქვეშ არის მოქცეული და დარანის მსგავსად, მხოლოდ შესასვლელია თავისუფალი.



ნახ. 5: მესხური დარბაზის ტიპები [4,5]

ტექნოლოგიის შესახებ:

ხის დამუშავების ტექნოლოგია ძველ საქართველოში ძალიან სიანტერესოა, ჯანსაღი, მარტივი და ეფუძნება მეფუტკრეობის ტრადიციას.

ისტორიული ხის კონსტრუქციები, რომლებიც მრავალ საუკუნეს ითვლის, დღესაც შემონახულია, რადგანაც ხის მასალის დამუშავების ყველა ეტაპი ზედმიწევნით იყო დაცული. ფაქტიურად, საუკუნეების წინ ხდებოდა იმ პრინციპების დაცვა, რომლებიც დღეს მდგრადი განვითარების მთავარ პრინციპად ითვლება: სამი მთავარი ასპექტი - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური - ითვალისწინებს ისეთ მიდგომას, რომ დღევანდელმა მოქმედებებმა არ დააზიანოს მომავალ თაობათა სასიცოცხლო ინტერესები. დღევანდელი მდგომარეობისაგან განსხვავებით, ხის დამუშავების ტექნოლოგიის მთავარი „საიდუმლო“ იწყებოდა სამასალე ხის სწორი შერჩევით. სამასალედ იჭრებოდა მხოლოდ ისეთი ხე, რომელიც სხვა ხეების ზრდას აფერხებდა და იყო შესაბამისი ასაკის. მიზნებიდან გამომდინარე, ხდებოდა მასალის შერჩევა - ფოთლოვანი მაგარმერქნიანებისა - სამშენებლოდ, ინტერიერისათვის, ავეჯისათვის, ხოლო რბილმერქნიანების, მაგალითად, ცაცხვი - შინამეურნეობაში გამოსაყენებელი ნივთებისა და სკების

დასამზადებლად. წიწვოვანი მერქანი უმეტესად გამოიყენებოდა მზიდ და გადახურვის კონსტრუქციებში. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და დღესაც აქტუალურია სამასალე ხის მოჭრის სწორი პერიოდის დაცვა. დაუშვებელია ხის მოჭრა მაშინ, როდესაც მასში სასიცოცხლო პროცესები მიმდინარეობს და ხის წვენი მოძრაობს. ანუ მოჭრის პერიოდი, ზრდის ზონის, გეოგრაფიული არეალისა და კლიმატის თავისებურებების გათვალისწინებით, საშუალოდ ნოემბრიდან თებერვლამდე უნდა იყოს დაცული. სამასალე ხე იჭრებოდა ზამთარში, ხდებოდა მისი ბუნებრივად გამოშრობა ჩრდილში, ვენტილირებად ადგილას, დაცული იყო გამოშრობის დროც, რომელიც ფოთლოვანისათვის საშუალოდ 5-8 წელიწადს შეადგენს, ხოლო წიწვოვანისათვის კი - 3-5 წელიწადს (აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2006-2007 წლებში ჩატარებულ კვლევას, როდესაც გამოკითხული იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხის დამმუშავებელი საწარმოების 90%, პროექტი „BDP Borjomi", BP & GTZ, Borjomi Business Development Project, Samtskhe-Javakheti). გამოშრობის შემდეგ, შემდეგი ეტაპია ხის დამუშავება დამცავი საშუალებებით. კერძოდ, ფუტკრის ცვილით, რომელიც ზეთში და სხვა ბუნებრივ გამხსნებელში ირევა, ასევე სუფთა სახითაც გამოიყენება. შემდეგ - სამშენებლოდ გამოყენება და ბოლოს - ისევ დამუშავება რამდენჯერმე. ანუ ხის ყველა მხარე დამუშავებული და დაცულია.

უმეტესად, გამთბარი ცვილი ირეოდა ზეთში სწორი პროპორციით, და თბილ მდგომარეობაში ესმეოდა ხეს რამდენჯერმე. ამგვარი დაცვის მერე, კონსტრუქციული და დეკორატიული დეტალები ხდებოდა გამძლე ყოველგვაი მავნე ზემოქმედების მიმართ, იქნებოდა ეს ტენი, სოკოვანი ინფექცია, მავნებლები თუ სხვა დამაზიანებელი ზემოქმედება (აღნიშნული ეყრდნობა ისტორიული შენობების აღდგენა-გამაგრების მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალთა ინფორმაციას, კერძოდ, რ. კორშია, ახალციხე, ძეგლთა აღდგენა-რესტავრაციის სპეციალისტი, ხელოვნების პედაგოგი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებით). სამწუხაროდ, დღეს აღნიშნული ტექნოლოგიის დაცვა ძალიან იშვიათად გვხვდება, რისი შედეგიც სახეზეა. ხშირად, სამცხე-ჯავახეთის საკურორტო დასახლებებში

რამდენიმე წლის წინათ განახლებული ხის დეტალები უკვე დაზიანებულია, ფერშეცვლილი და მდგრადობადაკარგული.

2.2 მე-19 და მე-20 საუკ. შენობები

მე-19 საუკუნიდან დაწყებული, საქართველო რუსეთის იმპერიისა და მისი სამეფო სახლის გავლენის ქვეშ ექცევა. მთელ საქართველოში და განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთში დიდი ცვლილებები იწყება. რატომ სამცხე-ჯავახეთში? საკურორტო ადგილების საოცარი რაოდენობა, და სასაზღვრო, საკვანძო გეოგრაფიული მდებარეობა - ორი იმ მრავალ მიზეზთაგან, რაც იწვევს რომანოვთა სამეფო ოჯახის განსაკუთრებულ ინტერესს ამ მხარის მიმართ. რუსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელთა ძალისხმევით მოწვეული იყო მრავალი სპეციალისტი, საკურორტო პოტენციალის კვლევისა და შესაბამისი ინდუსტრიის სხვადასხვა მიმართულებების განვითარების მიზნით.

კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტები, ბორჯომი, აბასთუმანი, ასევე ადმინისტრაციული ცენტრის, ახალციხის მიმდებარე ტერიტორია ერთსა და იმავე პერიოდში, მე-19 საუკ. დასაწყისში იყო გამოკვლეული, მდიდარი პოტენციალის გამო: თერმული და მინერალური წყაროები, შესანიშნავი ბუნებრივი პეიზაჟები და სუფთა, გამჭვირვალე ჰაერი.

სამშენებლო და გეგმარებითი საქმის პროფესიონალები, რომლებსაც იწვევდა რუსეთის სამეფო კარი, უმეტესად იყვნენ გერმანელები. გერმანელი ექიმის, დოქტორ ადოლფ რემერტის ღვაწლი ბალნეოლოგიური რესურსების კვლევასა და კურორტების მოწყობაში ძალიან დიდია. გარდა ბალნეოლოგიისა, იგი ლანდშაფტის გეგმარებაში, ბაღებისა და პარკების, საზოგადოებრივი სივრცეების ორგანიზებით იყო დაკავებული ბორჯომსა და აბასთუმანში.

ამ პერიოდში საკურორტო დასახლებებში ძალიან ბევრი შენობა აიგო. ეს იყო სასტუმროები, აგარაკები, ასევე ინდუსტრიული შენობები. თუმცა, ხის მშენებლობის საუკეთესო ნიმუშები საცხოვრებელი სახლებისა და სააგარაკე შენობების სახით გვხვდება.

მშენებლობაში გამოიყენებოდა შერეული ტექნიკა - მზიდი კედლები ადილობრივი ქვით შენდებოდა, ეს იყო მეტწილად ახალქალაქის ბაზალტი და

ანდეზიტის ფოროვანი ბაზალტი. ქვის შენობების დეკორირება ხდებოდა ხის სხვადასხვა ელემენტებით: ფრონტონებით, მაქმანისებური აივნებით, მოჩუქურთმებული დეტალებით, სახურავის ქვეშ დეკორატიული ელემენტებით, ლოჯიებით და სხვა. აქ წარმოვადგენთ ბორჯომისა და აბასთუმნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მაგალითებს.

ბორჯომთან დაკავშირებით ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა სტატია, სადაც საუბარია მის „მუზეუმების ქალაქად“ გადაქცევის შესახებ. თუმცა, ქალაქის ეფექტური ბრენდინგისათვის საჭიროა კაპიტალური ინვესტიციები.

ბორჯომის მუზეუმი განთავსებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე, ისტორიულ შენობაში. აღნიშნული ფართი არაა საკმარისი მუზეუმის ფონდის სრულად წარმოსადგენად. ამდენად, მუზეუმს გადაეცა ე.წ. ძველი პოლიკლინიკის შენობა, რომელიც კონსტრუქციულად ურთულეს მდგომარეობაში იმყოფება და მისი აღდგენა-გამაგრებისათვის საჭიროა მისი ნაწილობრივ ხელახალი აგება. ეს რომანტიული შენობა კოსტავას სახ. პარკში (ძველად - რემერტის ბაღი) იმყოფება ქალაქ ბორჯომში. აღნიშნული შენობა ჯერ კიდევ 12 წლის წინ ითვლებოდა ამორტიზებულად, შეიქმნა მისი დაკარგვის საფრთხე. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დაკვეთით, არქიტექტურულ-საინჟინრო კომპანია საინჟინრო აზრის მიერ 3D სკანირების მეთოდით შენობა გამოკვლეულია და დაგეგმილია დაზიანებული ნაწილების აღდგენა-გამაგრება.



ნახ. 6. ძველი პოლიკლინიკის შენობის ფასადები, ნახაზები და ფოტოები, კოსტავას ბაღი, ბორჯომი

„ძველი პოლიკლინიკის“ შენობა აგებულია ადგილობრივი წარმოშობის ქვისა და აგურის გამოყენებით, ხის დეკორატიული დეტალებით. შენობის შესასვლელი მთლიანად აჟურული იყო. ამჟამად იგი დახურულია, რადგანაც შესვლა შენობაში სახიფათოა.

ბორჯომში არაერთი საცხოვრებელი სახლია, რომელიც აგებულია რომანოვების მმართველობის პერიოდში ან მოგვიანებით, მე-20 საუკ. პირველ ნახევარში. ამ შენობებს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. უმეტესობა ხის ელემენტებით არის გამშვენებული. მათი ნაწილი განთავსებულია რუსთაველის ქუჩაზე, ნაწილი კი ე.წ. ძველ ბორჯომში, მინერალური წყლის პარკის მიმდებარედ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ქალაქის ძველ ინდუსტრიულ დასახლებაში კი, ე.წ. „ჩარხისწყლის“ უბანში გვხვდება კომბინირებული კონსტრუქციის, ფახვერკის ტექნიკით აგებული შენობები. ქალაქში ისტორიულ შენობათა რეაბილიტაცია მხოლოდ ნაწილობრივ, პარკის შესასვლელთან უშუალო სიახლოვეში განხორციელდა.

ბორჯომის ხის შენობები, ასევე კომბინირებული შენობები, სადაც გამოყენებულია ხის მასალა, გამოირჩევა მაღალი მხატვრული ღირებულებით. ხის მორის

შენობებიც ფართოდ არის გავრცელებული. ამგვარია საცხოვრებელი სახლი რუსთაველის ქ. 117, ე.წ. „მონადირის სახლი“, რომელიც მე-20 საუკ. დასაწყისშია აგებული.

ნახ. 7. მორის სახლი. რუსთაველის ქ. ბორჯომი

ფასადის რეაბილიტაცია განხორციელდა 2005 წელს, UNDP-ს ბიზნესის განვითარების პროექტის კომპონენტის, „ლამაზი ბორჯომის“ ფარგლებში. ამჟამად სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლიდან არის განსახორციელებელი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის სიაში არაერთი ხის ან კომბინირებული შენობაა, რომელიც გამშვენებულია ხის ჩუქურთმებით[6]. პრობლემას წარმოადგენს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკური პრობლემების გამო იწყებს ხის დაზიანებული დეტალების შეცვლას უსახური ფიცრებით, ან უარეს შემთხვევაში - პლასტმასის ფილებით. რაც ძლიერ აზიანებს ისტორიული შენობების იერსახეს. სასურველია, მუნიციპალიტეტის არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახური უფრო აქტიურად იყოს ჩართული ამ პრობლემების გადაწყვეტაში, ამგვარ სიტუაციაში ეცნობოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, ან აღნიშნულ სააგენტოს ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი მუნიციპალიტეტში, რომელიც ზუსტად ამგვარ პრობლემებს გააკონტროლებს.

ხის მშენებლობის ისტორიული მაგალითები გვხვდება როგორც ქალაქში, ისე საკურორტო დაბებში, განსაკუთრებით წაღვერსა და ბაკურიანში.

დამახასიათებელია დეკორატიული აივნები ჩუქურთმებით. ამგვარი აივნები ხშირად ამშვენებს ევროპულ ყაიდაზე აგებულ სახლებსაც; მსგავსი, რომელიც

მრავლად გვხვდება ძველ თბილისშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული არქიტექტურული მემკვიდრეობა დიდ გავლენას ახდენდა აქ ჩამოსულ ევროპელ ოსტატებზე და ხდებოდა საპროექტო-სამშენებლო ტრადიციების სინთეზი.

ნახ 8: საცხოვრებელი სახლი და ბიბლიოთეკა, მე-20 საუკ. დასაწყისი, კურორტი წაღვერი

ნახ. 9: კულტურული მემკვიდრეობა, დეკორატიული აივნების მქონე შენობები ბორჯომსა და წაღვერში

კურორტი აბასთუმანი, ცნობილი კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი, რომელიც ბორჯომის თანადროულად, მე-19 საუკ. 30-იან წლებში დაარსდა, 122-მდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ითვლის. აბასთუმნის მახლობლად 1842 წელს დაარსდა გერმანული კოლონია „ფროიდენტალი“. მართალია, გერმანელებმა მალევე შეიცვალეს ადგილი და 1848 წელს სართიჭალისკენ გადაინაცვლეს, მაგრამ მათი კვალი დღესაც იგრძნობა აბასთუმანში. [34]. აბასთუმნის ტაძარი, „პატარა ზარზმა“, გერმანელი არქიტექტორის, ოტო სიმონსონის მიერ არის დაპროექტებული, რუსეთის უფლისწულის, გიორგი რომანოვის მეთვალყურეობით. აბასთუმანში დაკრძალულია ექიმი რემერტი, რომელსაც დიდი წვლილი აქვს ორივე კურორტის - ბორჯომისა და აბასთუმნის განვითარებისათვის.

აბასთუმნის არქიტექტურა პოზიტიური ეკლექტიზმის ნიმუშს წარმოაგენს. აქ გვხვდება ევროპული, ქართული და რუსული არქიტექტურული ტრადიციების საინტერსო სინთეზი. აბასთუმნის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობები მდიდრულად არის შემკული ხის დეტალებით; დეკორირებულია მაქმანისებური ჩუქურთმებით.

სამწუხაროდ, ერთ-ერთი გამორჩეული ხის შენობა, უფლისწულ გიორგის სასახლე, ძლიერა დაზიანდა ხანძრით 2008 წელს. შენობის მხოლოდ მცირე ნაწილია გადარჩენილი, სადაც განთავსებულია დედათა მონასტერი. ეს შენობები, ისევე, როგორც სხვები, მრავალწლიანი მოუვლელობის კვალს ატარებს.

ნახ. 10: აბასთუმანი. კულტურული მემკვიდრეობის შენობები ხის კონსტრუქციებითა და დეკორატიული დეტალებით.

დაგეგმილია აბასთუმნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა, გამაგრება, რესტავრაცია. აბასთუმნის კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით. უნდა აღინიშნოს, რომ სარეაბილიტაციო ღონიძიებები ბევრად ადრე უნდა ჩატარებულიყო, აბასთუმნის მდიდარი პოტენციალის დაცვისათვის. დღეს მრავალი შენობა იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ მათი აღდგენითი სამუშაოების შესრულება სერიოზულ ტექნიკურ სირთულეებს უკავშირდება.

აბასთუმნისათვის შემუშავებულია მდგრადი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი. [23]. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პროგრამების დახმარებით სტრატეგია ბორჯომისთვისაც არსებობს, ბორჯომისათვის ძალიან

მნიშვნელოვანია მსგავსი გადაწყვეტილების მიღება. ორივე კურორტის საქალაქო კულტურულ მემკვიდრეობას გადაუდებელი სარეაბილიტაციო ღონისძიებები ესაჭიროება.

ტურიზმისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია უსაფრთხოება. სამცხე-ჯავახეთი იმყოფება მაღალი სეისმური რისკის ზონაში (8 ბალიანი ზონა, რიხტერის შკალის თანახმად). ხის კონსტრიუქციები გამოირჩევა მაღალი მედეგობით სეისმური რისკების მიმართ. საუკეთესო მაგალითები ამ მხრივ არის ხის მორის სახლები.

აღსანიშნავია, რომ ბრენდინგის საკითხი აგრეთვე მნიშვნელოვანია საკურორტო ქალაქებისა და დაბების (სოფლების) განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა წარმატებული ბრენდინგის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.

3 დასკვნა

- სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის მდგრადი განვითარება დამოკიდებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. საკურორტო დასახლებები ტურისტებისა და სტუმრებისათვის საინტერესოა არა მქოლოდ მშვენიერი ლანდშაფტებისა და სამკურნალო თვისებების, არამედ გამორჩეული იერსახის გამო.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დიდი ნაწილი ფასეულია ხის დეკორატიული დეტალების გამო. ხის დეტალები მგრძნობიარეა გარემოს ზემოქმედების მიმართ. მაღალპროფესიული მიდგომა და გრძელვადიანი პროგრამები არის აუცილებელი ამგვარი ძეგლების დაცვისათვის.
- საცხოვრებელ შენობებში ხის კონსტრუქციები საკმაოდ გამძლეა სეისმური საფრთხის დროსაც, ამგვარად, ხის მშენებლობის ტრადიცია უნდა შენარჩუნდეს და გაგრძელდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] სამცხე-ჯავახეთის შესახებ, Highlander travel, http://www.georgia-tours.eu/administrative-division/samtskhe-javakheti/, (2014), accessed 02.04.2017

[2] New life comes to Georgia’s 12th Century winemaking Tchatchkari Village. http://agenda.ge/news/65190/eng (2016).

[3] ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა სოფელ ჭაჭკარს, http://www.ipress.ge/new/52307-kulturuli-memkvidreobis-dzegls-sofel-chachkars-erovnuli-mnishvnelobis-kategoria-ganesazghvra, (2016), accessed in 31.03.2017

[4]. სუმბაძე ლ., ჩუქურთმა ხეზე ხალხურ ხუროთმოძღვრებაში, საუნჯე, ძეგლის მეგობარი, 1967, v.12, pp. 54-65 http://saunje.ge/index.php?id=1310&lang=ka

[5] Saro Houses Rehabilitation, http://mtisambebi.ge/news/people/item/293-saros-darbazis-tipis-saxlebis-reabilitazias-2-mln-300-atasi-lari-moxmardeba (2017)

[6] ბორჯომის ხეობის ისტორიული ძეგლების სია, ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დოკუმენტაცია, 2010-2012წ.

[7] თათარაშვილი ნ., გერმანული დასახლებები და არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში, არქიტექტურა დროსა და ადამიანებს შორის გადებული ხიდი, გერმანია-საქართველოს წელი 2017, ფორუმის მასალები; გვ. 33-45..

[8] გოცირიძე გ., თუმანიშვილი მ., ვარდოსანიძე ვ., ხოშტარია თ., აბულაძე გ., ბაღდავაძე თ., პაპაჩაშვილი თ., მახათაძე მ., ბაკურაძე თ., თუმანიშვილი ლ., სტეფანწმინდა, დუშეთი, აბასთუმანი, სტრატეგია მდგრადი განვითარებისათვის, საბოლოო ანგარიში, გის & დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით, 2015.